

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. სართიჭალასთან
არსებული სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ახალი
სამელიორაციო სისტემის, მოწყობის და ექსპლუატაციის
პროექტის სკინინგის განაცხადის

დანართი

შპს „კახეთის კარიბჭე“

შემსრულებელი GNcorporation

2021 თბილისი

სარჩევი

1	შესავალი.....	2
2	პროექტის ადგილმდებარეობა	3
3	დაგეგმილი საქმიანობის აღწერა	6
3.1	სარწყავი წყლის რეზერვუარები (ტბორები).....	9
3.2	კონტინენტური ნერგების განთავსების ბაქნები	10
3.3	ტორფის გადამუშავებისა და სუბსტრატის საწარმოო ფარდული	11
3.4	თესლნერგის საწარმოო სასათბურე კომპლექსი	11
3.5	მაღაზია ორანჟერა.....	11
3.6	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა	12
3.7	სარწყავი წყლით მომარაგება და შიდა განაწილება.....	14
3.8	სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაცია	17
4.	საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების აღწერა	18
4.6.	მავენე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში და ტენიანობის ზრდა	18
4.7.	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება.....	19
4.8.	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე	19
4.9.	ზემოქმედება წყლის გარემოზე.....	21
4.10.	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე.....	22
4.11.	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	22
4.12.	ნარჩენები	23
4.13.	შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.....	23
4.14.	ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.....	23
4.15.	საქმიანობის მასშტაბი.....	23
4.16.	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკები.....	24
4.17.	ბუნებრივი რესურსების გამოყენება	24
4.18.	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები	24
4.19.	საქმიანობის თავსებადობა ჭარბტენიან ტერიტორიასთან.....	24
4.20.	საქმიანობის თავსებადობა შავი ზღვის სანაპირო ზოლთან	25
4.21.	საქმიანობის თავსებადობა ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან	25
4.22.	საქმიანობის თავსებადობა დაცულ ტერიტორიებთან	25
4.23.	დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან	25
4.24.	დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან	25
4.25.	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	25
5.	ძირითადი დასკვნები	26
6.	დანართი 1.1. საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილი შურფების ლითოლოგიური სვეტები და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები	27
7.	დანართი 1.2. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ოპერატორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი	29

1 შესავალი

განსახილველი პროექტის მიზანს წარმოადგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. სართიჭალის მიმდებარედ, თბილისი-გომბორი-თელავის გზატკეცილის მე-6 კილომეტრზე არსებული სანერგე მეურნეობის მიმდინარე საქმიანობის გაფართოება. ამ მიზნის მიღწევისთვის შპს „კახეთის კარიბჭე“-ს დაგეგმილი აქვს ახალი სამელიორაციო სისტემის, ასევე ნერგსაწარმოო ბაქნების, ფარდულის ტიპის ღია ნაგებობების, თესლნერგების სათბურებისა და ჭარბი პროდუქციის სარეალიზაციო წერტილის - მაღაზია-ორანჟერეის მოწყობა და განთავსება. მეურნეობის გაფართოების შემდგომ შესაძლებელი იქნება ადგილობრივი სახეობის ქსეროფიტული ტიპის სატყეო და ურბანული დანიშნულების ნერგების დიდი ოდენობით წარმოება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ქ. თბილისში, მთაწმინდა-კუს ტბის ფერდობების გამწვანების პროგრამისთვის იქნება გამოყენებული. სანერგე მეურნეობის გაფართოების პროექტი ხორციელდება ფონდი „განვითარება და გარემოსა“ და ფონდი „ქართუს“ ხელშეწყობით.

პროექტი მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართით განსაზღვრული საქმიანობების ნუსხას, კერძოდ: პუნქტი 1.3. „სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია“. შესაბამისად საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას და საჭიროა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სკრინინგის განაცხადის წარდგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე ანგარიში, რომელიც წარმოადგენს სკრინინგის განაცხადის დანართს და შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად ასახავს ინფორმაციას პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. მათ შორის ანგარიშში განხილულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმები, რის საფუძველზეც სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას გზმ-ს პროცედურის საჭიროებასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „კახეთის კარიბჭე“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N 38. ბ 18
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალას მიმდებარედ
საქმიანობის სახე	საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის პუნქტი 1.3. „სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია“
კომპანიის საკონტაქტო მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	405348191
ელექტრონული ფოსტა	v.tsulukidze1976@gmail.com
საკონტაქტო პირი	წულუკიძე ვახტანგი
საკონტაქტო ტელეფონი	577970048
საკონსულტაციო კომპანია:	შპს „GNCorporation“
საკონტაქტო ტელეფონი	599 780 160
ელექტრონული ფოსტა	Gnconsultcompany@gmail.com

2 პროექტის ადგილმდებარეობა

განსახილველი სანერგე მეურნეობა ადმინისტრაციულად მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, თბილისი-გომბორი-თელავის გზატკეცილის მე-6 კილომეტრზე, სოფ. სართიჭალის მიმდებარედ. ტერიტორია მოიცავს 102 ჰა-ს და რეგისტრირებულია სამი ცალკეული საკადასტრო კოდით: 81.12.08.869 – 8.6 ჰა, 81.12.08.868 – 19.44 ჰა და 81.12.08.833 – 75.42 ჰა ფართობებით.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ტერიტორია განლაგებულია ივრის ზეგნის ჩრდილოეთ ნაწილში, სამხრეთის ორიენტაციის მცირედ დაქანებულ ფერდობზე. ტერიტორიის სიმაღლე ზ.დ. 790 მ-ს, ხოლო მაღალ წერტილში ზ.დ. 830 მეტრს შეადგენს.

სანერგე მეურნეობის ტერიტორიის ჩრდილოეთით წარმოდგენილია მეჩხრად გატყიანებული მთის სამხრეთი ფერდი. ამავე მხარეს ტერიტორიის საზღვარს მიუყვება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-6 გამანაწილებელი.

ტერიტორიის აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით გადის თბილისი-გომბორი-თელავის გზატკეცილი, რომლის შემდგომ სოფ. მულანლოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია წარმოდგენილია. ამავე მხარეს მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლები (650 მ და მეტი).

სამხრეთით ტერიტორიას ესაზღვრება თბილისი-გომბორი-თელავის გზატკეცილი და ამ გზატკეცილიდან სოფ. ახალსოფელისკენ მიმავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა.

ტერიტორიის დასავლეთით წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

საკუთრივ განსახილველ ტერიტორიაზე მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობდა სანერგე-სამეურნეო საქმიანობა. შესაბამისად ტერიტორიის ფარგლებში მოწყობილია შესაბამისი სამეურნეო ინფრასტრუქტურა. ტერიტორიისთვის დამახასიათებელია მაღალკარბონატული შავმიწა ნიადაგები, მცენარეული საფარი კი პრაქტიკულად მთლიანად სახეცვლილია მიმდინარე საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარე.


განსახილველი ტერიტორიის ხედები მოცემულია სურათებზე 2.1. ტერიტორიის განთავსების არეალის სიტუაციური სქემა კი ნაჩვენებია ნახაზზე 2.1.

სურათები 2.1. სანერგე მეურნეობის ტერიტორიის ხედები






ნახაზი 2.1. სანერგე მეურნეობის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა



3 დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

სანერგე მეურნეობის მიმდინარე საქმიანობის გაფართოების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სარწყავი წყლის სამარაგო რეზერვუარები (2 დამოუკიდებელი ტბორი) რომლებიც მოწყობილია იმავე ფუნქციის შესარულებლად, ტერიტორიის მოსარწყავათ, არსებული სანერგე მეურნეობისათვის. თითოეულის მოცულობაა ≈ 7500 მ³. მისი შევსება ხდება სამგორის მაგისტრალურ არხზე დაერთებული გ-6 გამანაწილებელი არხის მეშვეობით, რომლიდანაც ტბებამდე წყლის მიწოდება მოხდება 200 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილით, გამანაწილებლის მაგისტრალურ არხი გადის სანერგე მეურნეობის ტერიტორიის მომიჯნავედ, შესაბამისად გამანაწილებლიდან სამარაგო რეზერვუარებამდე მაქსიმალური მანძილია (სანარგე მეურნეობის ტერიტორიის ფარგლებში) დაახლოებით 200 მ. სამარაგო რეზერვუარებს შორის მანძილია 170 მ. არსებული რეზერვუარებიდან მეურნეობის ცალკეულ უბნებზე სარწყავი წყალი გადანაწილდება საპროექტო შიდა ქსელის მეშვეობით, რომელთა დიამეტრი არის არაუმეტეს 100მმ დიამეტრისა, ხოლო უშვალოდ ტერიტორიის დაქსელვა მოხდება წვეთოვანი სარწყავი მილსადენის მეშვეობით. გარდა ამისა, წინამდებარე დოკუმენტში განვიხილავთ სხვა საპროექტო ობიექტებსაც, რომელთა მოწყობა იგეგმება მიმდინარე საქმიანობის გაფართოების ფარგლებში. ეს ობიექტებია კონტეინერული (ქოთნის) ნერგების გასაზრდელი ბაქნები, ტორფის გადასამუშავებელი ფარდულები და მალაზია-ორანჟერეა.

სანერგე მეურნეობის საპროექტო გენ-გეგმა მოცემულია ნახაზებზე 3.1. და 3.2. შემდგომ პარაგრაფებში განხილულია სანერგე მეურნეობის საპროექტო კომპონენტები.




3.1 სარწყავი წყლის რეზერვუარები (ტბორები)

სანერგე მეურნეობა და ყველა მისი მიმდებარე ტერიტორია იკვებება სამგორის მაგისტრალური არხიდან გამომავალი გ-6 გამანაწილებელი არხით მიღებული სარწყავი წყლით. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული გ-6 გამანაწილებელი არის კაპიტალურად მოწყობილი 2020 წელს, მაგრამ რწყვის ინტენსიურ სეზონზე ((მაისი-სექტემბერი) გამანაწილებლის წინა ნაწილში, ადგილობრივ მოსახლეობაში ბოლო წლებში ფართოდ გავრცელებულ კულტურის - სიმინდის მასიური წარმოების გამო, მორწყვის ყველაზე ხარჯიანი - მიშვების მეთოდის გამოყენების შედეგად, სანერგე მეურნეობამდე სარწყავი წყალი გ-6 გამანაწილებელი არხით აღწევს მცირედ, ხოლო გარკვეულ პერიოდებში საერთოდ ვერც აღწევს, რაც თავისთავად სვამს საკითხს, რომ კომპანია „კახეთის კარიბჭეს“ აუცილებლად უნდა გააჩნდეს სარწყავი წყლის რეზერვი.

ამავე საკითხთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ შპს „საქართველოს მელიორაციის“ განმარტებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე, სულ უფრო ჭირს სიონის წყალსაცავის წყლის მარაგის სეზონური შევსება, რაც გამოწვეულია საშუალო წლიური ნალექების შემცირებით ოქტომბერი - აპრილის პერიოდში, რის გამოც „საქართველოს მელიორაცია“ ხშირად იძულებულია შეამციროს სარწყავი წყლის ინტენსიური ხარჯვა რწყვისთვის მნიშვნელოვანი თვეების პერიოდში.

ამდენად, არსებული სარეზერვო სარწყავი წყლის ტბორების გამოყენება ნერგწარმოებისთვის აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოადგენენ გარდაუვალ აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ ტბორების მოწყობის საწყის ეტაპზე მოხდა არსებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ექსკავატორის საშუალებით და დასაწყობება (იხ. პარაგრაფი 3.2.). ამის შემდგომ მოხდა გრუნტის ამოღება და დასაწყობდება ტბორის ირგვლივ, მიწაყრილის სახით. ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები, ტბორის ფსკერის და გვერდების, მოხდა უახლესი ჰიდროსაიზოლაციო მასალით, რაც უზრუნველყოფს წყლის დანაკარგის მინიმუმაციას და ამასთან ერთად მიმდებარე ტერიტორიების დაჭაობების პრევენციას.



3.2 კონტინენტური ნერგების განთავსების ბაქნები

კონტინენტური ნერგების განთავსების ბაქანი წარმოადგენს მარტივ კონსტრუქციას, რომლის შესაქმნელად აუცილებელია:

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მისი შემდგომი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდეგ თიხოვანი გრუნტის ზედაპირის მოსწორება-მოტკეპნა და 5 სანტიმეტრამდე სისქის წვრილი, დაუფქვავი ღორღით (კენჭებით) ზედაპირის მომანდაკება.

მოხრეშილ ზედაპირზე უნდა გაიჭიმოს გრუნტსაფარი-Ground cover, რომელიც ძირითადად გამოიყენება მენერგობაში კონტინენტური ნერგების ბაქანზე სარეველა მცენარეების ამოსვლისაგან დასაცავად.


კონტინენტურ ბაქანზე ხდება რკინის 8-დან 10 სმ დიამეტრის 3 მეტრიანი სიგრძის ბოძების ვერტიკალური ჩამაგრება მავთულის ტროსების დასაჭიმად, რომლებზეც ხდება ქოთნის (კონტინენტური) ნერგების დამაგრება.

დასასრულს, მომზადებულ ტერიტორიაზე ხდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა კონტინენტური ნერგებისთვის სარწყავი წყლისა და სასუქის მისაწოდებლად.

აღნიშნული მეთოდი გამოიყენება განვითარებული სამყაროს ნერგწარმოებაში.

კონტინენტური ნერგების განთავსების ბაქნები გეგმა იხ. ნახაზზე 3.2.1.

ნახაზი 3.2.1. კონტინენტური ნერგების განთავსების ბაქნების გეგმა




3.3 ტორფის გადამუშავებისა და სუბსტრატის საწარმოო ფარდული

აღნიშნული კონსტრუქცია აუცილებელია კონტეინერებში (ქოთნებში) განსათავსებელი სუბსტრატის საწარმოოდ, რომლის შესაქმნელადაც ძირითადად გამოიყენება ტორფი, აგრეთვე აგროპერლიტი, მდინარის ქვიშა, ლამი, გადამწვარი ნაკელი, ნახერხი, დაქუცმაცებული ნამჯა და სხვა ინგრედიენტები. ფარდულში თავსდება შემრევი და დამქუცმაცებელი დანადგარები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ის საკითხი, რომ ფარდულში უნდა მოხდეს ნედლი ტორფის ბუნებრივად გაშრობა და უკვე გამშრალის მშრალად შენახვა.

3.4 თესლნერგის საწარმოო სასათბურე კომპლექსი

აღნიშნული კონსტრუქცია აუცილებელია თესლნერგების ჩათესვისა და გამოყვანის პირველი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, აგრეთვე წინა წლის თესლის სტრატეგიცილების და სათესად მომზადების ღონისძიებებისთვის.




3.5 მაღაზია ორანჟერეა

აღნიშნული ერთსართულიანი, მსუბუქი კონსტრუქციის ტიპის ნაგებობა დაგეგმილია განთავსდეს თბილისი-გომბორის გზატკეცილის გასწვრივ მეურნეობის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება კომპანიის საწარმო პროდუქციის როგორც რეალიზაციისათვის, ასევე გამოფენისთვის.

მაღაზია-ორანჟერიას გეგმა იხ. ნახაზზე 3.4.1.

ნახაზი 3.4.1. მაღაზია-ორანჟერიის გეგმა



3.6. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაგებობა და კონსტრუქცია ითხოვს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და დასაწყობებებს მიწის მოცულობების შესაბამისად და UTM კოორდინატების მითითებით.

სარწყავი წყლის ტბორები:

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობია, 1000მ², მოჭრილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმაღლე შეადგენდა $h=0.4$ მ, შესაბამისად მოხსნილი და დასაწყობებული ნიადაგის მოცულობაა მაქსიმუმ 400 მ³,

სათბურები:

როგორც უკვე აღინიშნა ტერიტორიაზე მოეწყობა 4 სათბური, მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობია, 5000მ², მოჭრილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმაღლე შეადგენდა $h=0.4$ მ, შესაბამისად მოხსნილი და დასაწყობებული ნიადაგის მოცულობაა მაქსიმუმ 2000 მ³,

კონტინერული ნერგების განთავსების ბაქნები:

ბაქანი 1-1 ფართობი შეადგენს S1-1=2182კვ.მ;

ბაქანი 1-2 ფართობი შეადგენს S1-2=2603კვ.მ;

ბაქანი 2-1 ფართობი შეადგენს S2-1=2225კვ.მ;

ბაქანი 2-2 ფართობი შეადგენს S2-2=2590კვ.მ;

ბაქანი 3-1 ფართობი შეადგენს S3-1=2549კვ.მ;

ბაქანი 3-2 ფართობი შეადგენს S3-2=2791კვ.მ;

ბაქნებთან მისასვლელი გზების ფართობი $S_g = 6108$ კვ.მ;

მოსაჭრელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობი შედგენს:

$$S_m = S1-1 + S1-2 + S2-1 + S2-2 + S3-1 + S3-2 + S_g = 2182 + 2603 + 2225 + 2590 + 2549 + 2791 + 6108 = 21048 \text{ კვ.მ.}$$

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმაღლე შეადგენს $h = 0,4$ მეტრი

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობაა:

$$V = S_m \cdot h = 21048 \cdot 0,4 = 10819 \text{ კუბ.მ.}$$

მოჭრილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა საწყობდება 4 ლოკაციაზე:

ლოკაცია 1

POINT_X	POINT_Y
510469,79	4621429,85
510466,82	4621508,49
510486,82	4621508,49
510488,25	4621429,68

დასაწყობებული ნიადაგის მოცულობა 2700 კუბ.მ.

ლოკაცია 2

POINT_X	POINT_Y
510557,53	4621508,87
510577,34	4621509,01
510558,95	4621430,06
510579,13	4621430,16

დასაწყობებული ნიადაგის მოცულობა 2700 კუბ.მ.

ლოკაცია 3

POINT_X	POINT_Y
510650,38	4621431,98
510648,98	4621509,40
510670,42	4621509,47
510672,19	4621432,53

დასაწყობებული ნიადაგის მოცულობა 2700 კუბ.მ.

ლოკაცია 4

POINT_X	POINT_Y
510751,92	4621434,57
510750,56	4621509,90
510771,24	4621510,01
510772,60	4621434,98

დასაწყობებული ნიადაგის მოცულობა 2720 კუბ.მ.

ჯამურად დაკონსერვებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა შეადგენს 10819 კუბ.მ.

მაღაზია-ორანჟერია:

მაღაზია-ორანჟერიის ფართობი შეადგენს $S_m = 160$ კვ.მ;

მაღაზია-ორანჟერიის ბაქანის ფართობი შეადგენს $S_b = 281$ კვ.მ;

ავტოსადგომის ფართობი შეადგენს $S_{ავ} = 199$ კვ.მ;

მოსაჭრელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობი შედგენს:

$$S_n = S_m + S_b + S_{ავ} = 160 + 281 + 199 = 640 \text{ კვ.მ.}$$

მოსაჭრელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმაღლე შეადგენს $h = 0,4$ მეტრი

მოსაჭრელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობაა:

$$V = S_n \cdot h = 640 \cdot 0,4 = \underline{256 \text{ კუბ.მ.}}$$

მოჭრილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა საწყობდება მაღაზია-ორანჟერიის ბაქანის გარშემო შემდეგ ლოკაციაზე:

POINT_X	POINT_Y
510455,71	4620845,53
510463,70	4620845,90
510463,01	4620860,88
510477,99	4620861,58
510477,62	4620869,57
510454,64	4620868,50

სულ, სანერგე მეურნეობის გაფართოების ფარგლებში მოხსნილია და მოიხსნება და საკონსერვაციოდ დასაწყობდება 11 075 მ³-მდე მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

3.7. სარწყავი წყლით მომარაგება და შიდა განაწილება

როგორც აღინიშნა საპროექტო ტბორების შევსება მოხდება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-6 გამანაწილებლიდან. გამანაწილებლის მაგისტრალურ არხზე დაერთებიდან მეურნეობამდე მანძილი წარმოადგენს 200 მეტრს. გ-6 გამანაწილებლიდან კი ტბორებამდე წყალი მიყვანილი იქნება მილსადენებით. ტბორებიდან მეორნეობის ტერიტორიაზე, წყალი გადანაწილდება შიდა მილსადენების ქსელის საშუალებით. გამოყენებული იქნება წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

ტბორების შევსება მოხდება აპრილიდან-ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში. წყლის საშუალო დღეღამური ხარჯი წყალმომარაგების სისტემისათვის შეადგენს **1000 მ³/დღ/დ.**


საათური ხარჯი:


$$Q_{\text{დღ.ღ}} / 24 = 1000 / 24 = 41 \text{ მ}^3/\text{სთ} = 11 \text{ ლ/წმ.}$$

არსებული სამარაგე რეზერუარებიდან, კონკრეტულ ბაქნებამდე და სათბურებამდე, მოხდება 70 მმ პოლიეთილენის მილებით (მილები განლაგდება, როგორც მიწისქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) წყლის მიწოდება, რითაც ნერგების და ჩითილების ზომიდან გამომდინარე, მოხდება წვეთოვანი და გამაფრქვეველი სისტემის მომარაგება.

შპს „კახეთის კარიბჭეს“ სარწყავი წყლით მომარაგების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ოპერატორ კომპანიასთან (ხელშეკრულების ასლი იხ. დანართში 1.2)

ნახაზი 3.7.1. სარწყავი ქსელის შიდა განაწილება





3.8. სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაცია

პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე იგი არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისით. ყველა სამშენებლო ტექნიკა და დროებითი კონსტრუქცია განთავსდება სანერგე მეურნეობის შიდა ტერიტორიაზე. გათვალისწინებული არ არის სამშენებლო ბანაკის მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება სტანდარტული სამშენებლო ტექნიკა: ექსკავატორი, ბულდოზერი და თვითმცლელი. პროექტი არ საჭიროებს მნიშვნელოვანი რაოდენობის სამშენებლო მასალების (მათ შორის ინერტული მასალები და სხვ.) გამოყენებას. საჭირო მასალები ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება რეგიონში მოქმედი საწარმოებიდან.

პროექტის გაფართოების სამუშაოებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა იქნება ≈ 15 ადამიანი. სამუშაოების დასრულების შემდგომ სანერგე მეურნეობის პერსონალი შესაძლოა გაიზარდოს 10-20%-ით.

სულ სამშენებლო სამუშაოები მაქსიმუმ 3 თვე გაგრძელდება.

4. საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების აღწერა

საქმიანობის სპეციფიკურიდან გამომდინარე წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები/რისკები:

- მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში და ტენიანობის შესაძლო ზრდა;
- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება;
- ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე;
- ზემოქმედება წყლის გარემოზე;
- ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე;
- ნარჩენები;
- შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება;
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით წინამდებარე დოკუმენტში შევხებით:

- საქმიანობის მასშტაბს;
- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკებს;
- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკებს;
- დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობას ჭარბტენიან ტერიტორიასთან; შავი ზღვის სანაპირო ზოლთან; ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან; დაცულ ტერიტორიებთან; მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათს;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხს და კომპლექსურობას.

ყველა ჩამოთვლილი საკითხი შეძლებისდაგვარად დეტალურად განხილულია მომდევნო პარაგრაფებში.

4.6. მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში და ტენიანობის ზრდა

საწარმე მეურნეობის დამხმარე ინფრასტრუქტურის, მათ შორის სამელიორაციო სისტემის და ტბორების მოწყობის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების (არაორგანული მტვერი, წვის პროდუქტები) გაფრქვევა მიწის სამუშაოებს და ტექნიკის/ტრანსპორტის გამოყენებას უკავშირდება. ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორია საწარმე მეურნეობის აღმოსავლეთით არსებული დასახლებული პუნქტი (სოფ. მულანლო), რომლის დაცილების მანძილი საკმაოდ დიდია.

განხილული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება მაქსიმუმ 3 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში გამოყენებული იქნება მსგავსი სამუშაოებისთვის საჭირო სტანდარტული სამშენებლო ტექნიკა. მათი რაოდენობა და ფუნქციონირების გრაფიკი არ იქნება მასშტაბური. სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელით შესრულდება.

იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს შეზღუდულ ვადებში და საცხოვრებელი ზონა საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული, სამშენებლო სამუშაოების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში ემისიებით გამოწვეული ზემოქმედების არ ექნება მნიშვნელოვანი. პრაქტიკულად გამორიცხულია დაგეგმილმა სამუშაოებმა რაიმე შესამჩნევი გავლენა იქონიოს ახლომდებარე დასახლებული ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.

შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უმნიშვნელო და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს - ტექნოლოგიური პროცესი დაკავშირებული არ არის რაიმე ტიპის მავნე ნივთიერებების ორგანიზებულ ემისიებთან. დაბინძურების ერთადერთ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ტერიტორიაზე იმოდრავებს გაცილებით დაბალი ინტენსივობით, ვიდრე მშენებლობის ეტაპზე.

საპროექტო ტბორების სარკის ზედაპირის საერთო ფართობი იქნება 14 639 მ² (1,5 ჰა). ეს ძალიან მცირე ფართობია, რომ აორთქლების შედეგად ადგილი ჰქონდეს ტენიანობის შესამჩნევ ზრდას და ადგილობრივი მოკროკლიმატის ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ ტბორები იფუნქციონირებს მხოლოდ ზაფხულის პერიოდში, რაც ადგილობრივი მშრალი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე დადებითი კუთხითაც შეიძლება შევაფასოთ. მიკროკლიმატის ცვლილების თვალსაზრისით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის ან იქნება უმნიშვნელო.

4.7. ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება

ისევე, როგორც ემისიების შემთხვევაში, მხედველობაში მისაღებია საპროექტო ტერიტორიის დაშორების დიდი მანძილი ადგილობრივი მოსახლეობიდან და სამშენებლო სამუშაოების (განსაკუთრებით ხმაურის და ვიბრაციის გამომწვევი სამუშაოების) მცირე მოცულობა.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს: შეიძლება გამოვყოთ ტუმბოების ხმაური და ვიბრაცია. თუმცა ესეთი ობიექტები განთავსებული იქნება ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში, მოსახლეობიდან კიდევ უფრო მეტი მანძილის დაშორებით. აქედან გამომდინარე მსგავსი ობიექტების ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია სანერგე მეურნეობის ტერიტორიას არ გასცდება, პრაქტიკულად გამორიცხულია მათ ფუნქციონირებას რაიმე ზეგავლენა ჰქონდეს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

4.8. ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მდ. იორის მარჯვენა ნაპირის მაღალ ჭალისზედა ტერასის ნაწილს, რომელიც ხასიათდება წყნარი, მოსწორებული, ზედაპირით და ოდნავ შესამჩნევი საფეხურებით თანდათან დაბლდება სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. იორისაკენ. სამშენებლო მოედნის ფარგლებში ტერასული საფეხური ზედაპირი თითქმის ბრტყელია, სუსტი ქანობით იმავე მიმართულებით. აქ აბსოლუტური სიმაღლეები მერყეობენ 798 – 799 მეტრის ფარგლებში.

ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა პლიოცენური – აკაგილური ასაკის (N³ak) ქანები, რომელთა გამოსავლები სოფ. სართიჭალაში აღინიშნება მდ. იორის მარჯვენა ნაპირის მაღალი ფლატის ძირის გასწვრივ. ლითოლოგიურად ეს ნაწილები წარმოდგენილია თიხებით, ქვიშებით, ქვიშაქვებით და კონგლომერატებით, რომლებიც ვაზიანი-მულანლო-სართიჭალის ტერასული საფეხურების გავრცელების ფარგლებში დაფარულებია მეოთხეული ასაკის რთული გენეზისის, შემადგენლობის და განსხვავებული სიმძლავრის საფარი ქანებით. ეს უკანასკნელები ძირითადად წარმოდგენილებია ალუვიური კენჭნარით და თიხნარებით, თიხოვანი შემადგენლობის დელუვიური და ნაყარი ანტროპოგენული გრუნტებით. საფარი ქანების ჯამური სიმძლავრე აქ 10-15 მეტრს ჭარბობს.

საპროექტო ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩაატარა შპს „გენგეო“-ს გეოლოგთა ჯგუფმა, შ.პ.ს. „კახეთის კარიბჭე“-ს დაკვეთის საფუძველზე. კვლევის ფარგლებში ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად ამოღებული იქნა 4 შურფი, სიღრმით 3 მეტრამდე

თითოეული შურფებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები, რომლებზეც ჩატარდა შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2020 წლის დეკემბერში.

ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უბანზე საშიში გეოლოგიური მოვლენების ჩასახვა – განვითარების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის „დამაკმაყოფილებელ“ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო თავისი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის თანახმად, განეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე გამოყოფილია ორი ფენა: ფენა #1 – ნიადაგის ფენა და ფენა #2 თიხნარი კენჭნარის შუაშრეებით და კენჭების ჩანართებით 30%-მდე.

ფენა #1 – ნიადაგის ფენა – Q_{IV} - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე პირველი ფენის სახით. წარმოდგენილია კომპოზანი სტრუქტურის თიხნარით, ფესვების ჩანართებით. ფენის სიმკვრივე 0.8 - 1.0 მეტრია. ფენა არ დასინჯულა. ფენის სიმკვრივე ρ საფონდო მასალების მიხედვით 1,78 ტ/მ³. ფენა უწყლოა.

ფენა #2 – თიხნარი კენჭების ჩანართებით – dpQ_{IV} - გავრცელებულია მთელ უბანზე 0.8 – 1.0 მ. – დან. წარმოდგენილია ღიაყავისფერი თიხნარებით, 30% მდე კენჭების ჩანართებით და კენჭნარის 0.5 მ. მდე შუაშრეებით, რომელის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების საანგარიშო მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში 4.3.1.

ცხრილი 4.3.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ფენა №2
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ ³	1.92
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_d	გ/სმ ³	1.62
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρ_s	გ/სმ ³	2.72
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	18.5
5	ფორიანობა	n	%	41
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.679
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	WL	ერთ.ნაწ.	0.32
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	Wp	ერთ.ნაწ.	0.18
9	პლასტიკურობის რიცხვი	Ip	ერთ.ნაწ.	0.14
10	დენადობის ზღვარი	IL	ერთ.ნაწ.	0.04
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.74
12	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	20
13	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ ²	0.17
14	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ ²	170
15	საანგარიშო წინაღობა	Ro	კგძ/სმ ²	2.5

უბანზე გაცვანილი შურფების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები მოცემულია დანართში 1.1.

სოფ. სართიჭალა, სნ და წ - “სეისმომდეგი მშენებლობა” (პნ 01.01.-09) – ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე იმავე კრებულის

ცხრ. #1 – ის, მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უზნის სეისმურ საშიშროებად მიღებული უნდა იყოს 8 ბალი.

ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადია და მშენებლობისათვის "დამაკმაყოფილებელ" საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. დაგეგმილი სამუშაოების მცირე მოცულობიდან გამომდინარე არსებული გეოლოგიური გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. საშიში-გეოდინამიკური პროცესების დაცვის მიზნით განსაკუთრებული ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არსებობს. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უზანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით.

რაც შეეხება სანერგე მეურნეობის ექსპლუატაციას - საქმიანობის ამ ეტაპზე დაგეგმილი არ არის ისეთი ოპერაციები, რომელიც არსებულ გეოლოგიურ გარემოზე რაიმე სახის ზემოქმედებას მოახდენს. საპროექტო ტბორების ფსკერი და გვერდები მოწყობილი იქნება წყალგაუმტარი ფენით, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს წყლის რაციონალურ გამოყენებას და დანაკარგების მინიმიზაციას, ხოლო მეორეს მხრივ მიმდებარე ტერიტორიების დაჭაობების პრევენციას.

4.9. ზემოქმედება წყლის გარემოზე

პროექტის განხორციელების ტერიტორიის სიახლოვეს ბუნებრივი ზედაპირული წყლის ობიექტი წარმოდგენილი არ არის. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მშენებლობის პროცესში არ განიხილება ისეთი ზემოქმედებები, როგორცაა წყლის დებიტის ცვლილება, მდინარეთა ნატანის გადაადგილების შეზღუდვა, კალაპოტისა და ნაპირების სტაბილურობის დარღვევა და ა.შ. გათვალისწინებული არ არის რაიმე ტიპის ჩამდინარე წყლების წარმოქმნა.

ტერიტორიაზე გაყვანი შურფებში გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. ესეთი გარემოება მნიშვნელოვნად ამცირებს გრუნტის წყლებზე რაიმე სახის ზემოქმედებას. გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მხოლოდ გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ, კერძოდ დამაბინძურებელი ნივთიერებების (მაგ. ნავთობპროდუქტები) დიდი რაოდენობით დარღვრამ შეიძლება გამოიწვიოს. თუმცა სამუშაოების პროცესში ტერიტორიაზე რაიმე სახის დამაბინძურებელი ნივთიერებების დიდი რაოდენობით შენახვა გათვალისწინებული არ არის. ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის მცირე რაოდენობით ჟონვის და ლოკალური დაღვრის შემთხვევაში გრუნტის წყლების ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საერთო ჯამში მშენებლობის ეტაპზე წყლის გარემოზე რაიმე სახით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სამარაგო ტბორების ექსპლუატაციის ეტაპზე გასათვალისწინებელი საკითხია წყალაღებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედება მდინარის ჰიდროლოგიაზე - ჩამონადენის შესაძლო შემცირება. თუმცა, როგორც აღინიშნა, ტბორების შევსება მოხდება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის გ-6 გამანაწილებლის საშუალებით, სარწყავი სისტემის ოპერატორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (ხელშეკრულების ასლი იხ. დანართში 1.2). შესაბამისად სარწყავი წყლით მომარაგებაზე პასუხისმგებელი იქნება აღნიშნული კომპანია. დამოუკიდებლად რომელიმე ზედაპირული წყლის ობიექტიდან სანერგე მეურნეობისთვის წყლის მიწოდება გათვალისწინებული არ არის.

პროექტის განხორციელება წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით დადებითადაც შეიძლება შეფასდეს, კერძოდ: ერთის მხრივ სამარაგო ტბორები მოახდენს სარწყავი წყლის შენახვას და მისი მხოლოდ საჭიროებისამებრ გამოყენებას. ხოლო მეორეს მხრივ დაგეგმილი წვეთოვანი სარწყავი სისტემა, უზრუნველყოფს წყლის მიზნობრივ და ეფექტიან ხარჯვას.

4.10. ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე

როგორც აღინიშნა საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია საკმაოდ მძლავრი ჰუმუსოვანი ფენის მქონე მაღალკარბონატული შავმიწა ნიადაგები. აქედან გამომდინარე პროექტის განხორციელების საწყის ეტაპებზე მოხდება საპროექტო უბნებზე არსებული ნაყოფიერი ფენის მოხსნა და კონსერვაცია (მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაოდენობა გაანგარიშებულია პარაგრაფში 3.5.).

ნიადაგის და გრუნტის ხარისხის გაუარესება, მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს უკავშირდება. როგორც აღინიშნა ტერიტორიაზე არ მოხდება დამაბინძურებელი ნივთიერებების (მაგ ნავთობპროდუქტები და სხვ.) მარაგების შექმნა. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მოკლე ვადებში. აქედან გამომდინარე დაბინძურების რისკები დაბალია. კომპანია მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რომ გამორიცხოს გაუთვალისწინებელ შემთხვევაში ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება.

საერთო ჯამში, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის წინასწარ მოხსნის და სათანადო დასაწყობების შემთხვევაში, მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიაზე წარმოდგენილი ნიადაგოვანი საბურველი არ წარმოადგენს გარემოს ბუნებრივ ელემენტს და იგი ჩამოყალიბებულია ადამიანის მრავალწლიანი სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

4.11. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საკვლევი რაიონი, ნ. კეცხოველის მიხედვით (ნ. კეცხოველი „საქართველოს მცენარეული საფარი“), მიეკუთვნება ქსეროფიტულ ადგილსამყოფელოებს, კერძოდ ჯაგეკლიან ველებს ტყის ელემენტებით. ახლო ისტორიულ პერიოდში ეს ადგილები ძირითადად დაკავებული იყო ნათელი ტყეებით, რომლებშიც არსებობდა საკმაოდ ფართო ველებიც. ანთროპოგენული ფაქტორის გავლენით ველების წილი გაიზარდა, ხოლო ტყეები მცირე ფრაგმენტებითა წარმოდგენილი, რომლებიც პატარ-პატარა კორომების სახით გვხვდება.

საპროექტო არეალში ძირითადი ლანდშაფტებია სტეპები, არიდული ჯაგნარი. გზების გასწვრივ ბუნებრივი მცენარეული საფარი შეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობით. ძირითადი ბუნებრივი მცენარეული საფარი წარმოდგენილი არის სტეპებით, რომელთა შემქმნელი და დომინანტია ურო - (*Botriochloa ischaemum*). ურო და მისი თანმყოლი მცენარეები დომინირებს ტერიტორიის ვაკე ზონაში და შემადლებულ ადგილებში.

უშუალოდ სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ტიპის ჰაბიტატია წარმოდგენილი. აქ მცენარეული საფარი პრაქტიკულად მთლიანად სახეცვლილია ადამიანის მრავალწლიანი ინტენსიური საქმიანობის გავლენით. ახალი ობიექტების მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიებზე ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. სამუშაოების შედეგად დაზიანდება დაბალი ღირებულების ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეები. პრაქტიკულად გამორიცხულია ზეგავლენის არეალში მოექცეს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ან ენდემური მცენარის რომელიმე სახეობა. ჰაბიტატებზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო ხასიათის.

მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე ტერიტორიაზე არ გვხვდება საშუალო და მსხვილი ზომის ძუძუმწოვრები. ტერიტორია ნაკლებად მიმზიდველია მაღალი საკონსერვაციო ღირებულების, მათ შორის გადამფრენი ფრინველებისთვის. განსახილველი ტერიტორიები ძირითადად მცირე ზომის ძუძუმწოვრების (მღრნელები) და ქვეწარმავლების, ასევე ბელურასნაირი ფრინველების თავშესაფარს წარმოადგენს.

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბებიდან გამომდინარე ცხოველთა შეშფოთების და ტერიტორიიდან მიგრაციის, ასევე უშუალო ზემოქმედების ალბათობა არ იქნება მაღალი. ექსპლუატაციის ეტაპზე საპროექტო ტბორები შეიძლება წარმოადგენდეს გარკვეულ ხიფათს ზოგიერთი სახეობის ცხოველისთვის. გამორიცხული არ არის მათი ტერიტორიაზე მოხვედრა და ტბორებში ჩავარდნა. თუმცა როგორც აღინიშნა ასეთი შემთხვევების ალბათობა დაბალია, ვინაიდან ტერიტორია საკმაოდ ანთროპოგენურია. ზემოქმედების რისკებს ამცირებს ის გარემოებაც, რომ ტერიტორია შემოღობილია, ხოლო ტბორებს გარშემო გაუკეთდება მიწაყრილები.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სამელიორაციო სისტემის პროექტი დამატებით ზეწოლას ვერ მოახდენს ფლორისტულ და ფაუნისტურ გარემოზე, რასაც ერთის მხრივ სამუშაო ტერიტორიის საკმაოდ შესამჩნევი ანთროპოგენური დატვირთვა, ხოლო მეორეს მხრივ სამუშაოების მცირე მოცულობა განაპირობებს.

4.12. ნარჩენები

მიწის სამუშაოების დროს ამოღებული მიწის ნარჩენები (ძირითადად ღორღის შემცველი ფენა) მთლიანად გამოყენებული იქნება ტბორების და სანერგე ბაქნების ირგვლივ მიწაყრილების შესაქმნელად, ასევე უკუყრილების სახით.

არასახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება შესაფუთი მასალები და საყოფაცხოვრებო ნაგავი. მათი გატანა მოხდება უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენებიდან შესაძლებელია წარმოიქმნას ნავთობით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი მასალები, რომელთა რაოდენობა არ იქნება 10-20 კგ-ზე მეტი. სახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელიც ექნება შესაბამისი ნებართვა. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ პროექტი წარმოქმნილი ნარჩენების მინიმალური რაოდენობით ხასიათდება.

4.13. შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

საპროექტო ნაგებობების მოწყობის უბნები სანერგე მეურნეობის საზღვრებში. ამ ტერიტორიების დიდი ნაწილი არ ექცევა გარეშე პირების ვიზუალური თვალთახედვის არეალში. ზოგადად ეს არეალი არ წარმოადგენს ვიზუალურ-ლანდშაფტური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის ტერიტორიას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ნეგატიურ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას არ გამოიწვევს. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ დროებით ათვისებული უბნები დასუფთავდება და მაქსიმალურად დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

4.14. ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესში დაცული იქნება ის სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს პროექტში დასაქმებული ადამიანების და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას. სანერგე მეურნეობის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია გარეშე პირების შეღწევისგან. პროექტის მცირე მასშტაბის გათვალისწინებით მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ადამიანის უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები არ არსებობს.

4.15. საქმიანობის მასშტაბი

პროექტი ითვლისწინებს სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ტბორების, სამელიორაციო სისტემის და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას. არცერთი კომპონენტი თავისი

მასშტაბურობით არ გამოირჩევა. სამშენებლო სამშაოები გაგრძელდება მცირე პერიოდი, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება სტანდარტული სამშენებლო ტექნიკა. საერთო ჯამში პროექტი განეკუთვნება დაბალი მასშტაბის საქმიანობას.

4.16. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკები

საპროექტო ტერიტორიების სიახლოვეს ანალოგიური საქმიანობა არ მიმდინარეობს და არც მომავალშია დაგეგმილი. შემოგარენში განლაგებული არ არის რაიმე ტიპის საწარმოო ობიექტები.

ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლებელია განვიხილოთ სარწყავი წყლის რესურსებზე ზემოქმედების საკითხი, თუმცა დაგეგმილი პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ სანერგე მეურნეობა წყლის მოხმარებას მოახდენს გაცილებით რაციონალურად და ეფექტურად.

საერთო ჯამში განსახილველი პროექტის განხორციელების შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.17. ბუნებრივი რესურსების გამოყენება

საპროექტო სამელიორაციო სისტემის მოწყობა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას არ საჭიროებს. ტბორების და სხვა ობიექტების საძირკვლების მოსაწყობად საჭირო იქნება უმნიშვნელო რაოდენობის ინერტული მასალები, რომელიც შემოტანილი იქნება ადგილობრივი ლიცენზირებული კარიერებიდან.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს - ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტბორები და ტერიტორიაზე დანერგილი წვეთოვანი რწყვის სისტემა გააუმჯობესებს წყლის რესურსების რაციონალური მოხმარების პირობებს, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს.

4.18. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები

საპროექტო ტბორები მოეწყობა თითქმის სწორი ზედაპირის მქონე ტერიტორიაზე. წყლის მარაგის შესაქმნელად პროექტი არ ითვალისწინებს დამბის და სხვა წყლის ნაკადის გადამღობი კონსტრუქციების მშენებლობას. გათვალისწინებულია 4 ტბორის მოწყობა, რომელიც ერთმანეთისგან გამიჯნული იქნება მიწაყრილებით.

საპროექტო სამელიორაციო სისტემა და მისი დამხმარე ნაგებობები მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული ობიექტია და ზოგადად პროექტი მასშტაბურ ავარიას/კატასტროფას არ უკავშირდება. პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები.

4.19. საქმიანობის თავსებადობა ჭარბტენიან ტერიტორიასთან

საქმიანობის განხორციელების ტერიტორია დიდი მანძილით არის დაშორებული ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან. საქმიანობის პროცესში ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.20. საქმიანობის თავსებადობა შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან

საპროექტო ტერიტორია დიდი მანძილით არის მოშორებული შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან და მასზე რაიმე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვევა.

4.21. საქმიანობის თავსებადობა ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, ფერდობზე წარმოდგენილია მეჩხერი ტყის კორომები. თუმცა დაგეგმილ საქმიანობას რაიმე პირდაპირი კავშირი არ ექნება მასთან. პროექტი არ ითვალისწინებს მერქნული რესურსების გარემოდან ამოღებას. ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი არ არის.

4.22. საქმიანობის თავსებადობა დაცულ ტერიტორიებთან

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ გვხვდება რომელიმე დაცული ტერიტორია.

4.23. დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან

პროექტი განხორციელდება დაუსახლებელ ტერიტორიაზე, არსებული სანერგე მეურნეობის საზღვრებში. უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. მულანლო, ტერიტორიიდან დაშორებულია 630 მ მანძილით. ასეთ პირობებში დასახლებული პუნქტის მოსახლეობაზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების ალბათობა მინიმალურია.

4.24. დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან

პროექტის განხორციელების ზემოქმედების ზონაში რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არის აღწერილი. შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

აღსანიშნავია, საპროექტო ტერიტორიის სპეციფიურობა, რომელიც არსებულ სანერგე მეურნეობას წარმოადგენს და სადაც მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ადამიანის საქმიანობა. ამ ტერიტორიებზე განამარხებული არქეოლოგიური ძეგლების არსებობის ალბათობა ძალზედ დაბალია. მიუხედავად ამისა, საქმიანობის განმახორციელებელი გაითვალისწინებს აღნიშნულ საკითხს: მიწის სამუშაოების წარმოების პროცესი წარიმართება სიფრთხილის ზომების მიღებით, რაიმე ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოები დაუყოვნებლის შეწყდება, აღმოჩენილი ნივთის რაობის დადგენამდე. საჭიროების შემთხვევაში ინფორმირებული იქნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

4.25. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საქმიანობის განხორციელების ადგილი დიდი მანძილით არის დაშორებული სახელმწიფო სასაზღვრო ზოლიდან. საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბების და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

5. ძირითადი დასკვნები

- პროექტი გულისხმობს არსებული სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის, მათ შორის სარწყავი წყლის სამარაგო ტბორების მოწყობას. ასევე გათვალისწინებულია მიმდინარე საქმიანობისთვის საჭირო სხვა დამატებითი ობიექტების - ნერგსაწარმოო ბაქნების და სხვ. შექმნა. სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყენებული იქნება წვეთოვანი მორწყვის სისტემა;
- სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 3 თვის განმავლობაში. მშენებლობის ეტაპზე გამოყენებული იქნება სტანდარტული სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო სამუშაოები იქნება მცირე მოცულობის;
- ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით საპროექტო ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების ნიშნები არ გამოვლენილა. დერეფანი ვარგისია სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად;
- საპროექტო ტერიტორიებზე წარმოდგენილია საკმაოდ მძლავრი ჰუმუსის მქონე ნიადაგოვანი საფარი. თუმცა ეს ნიადაგები ჩამოყალიბებულია მრავალი წლის მანძილზე ადამიანის ინტენსიური საქმიანობის შედეგად და მისი ბუნებრიობა მკვეთრად სახეცვლილია. სამუშაოების დაწყებამდე გათვალისწინებულია ნაყოფიერი ფენის მოხსნა და კონსერვაცია;
- საპროექტო ტერიტორიებიდან მოსახლეობის დაშორების მანძილი საკმაოდ დიდია. შესაბამისად მოსახლეობაზე სხვადასხვა ტიპის ზემოქმედების (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაურის გავრცელება, ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება და სხვ.) ალბათობა მინიმალურია;
- საპროექტო ტერიტორიებზე არ გვხვდება მცენარეთა მერქნული სახეობები. მშენებლობისთვის გამოყოფილ უბნებზე წარმოდგენილია ბალახეული და ბუჩქოვანი საფარი. ტერიტორია წარმოადგენს დაბალი ღირებულების ჰაბიტატს. არსებულ პირობებში პროექტის განხორციელების შედეგად ცხოველებზე დამატებითი ზემოქმედების (როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ზემოქმედება) ალბათობა მინიმალურია;
- საქმიანობის განხორციელების პროცესში დაცული იქნება შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმები.

6. დანართი 1.1. საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილი შურფების ლითოლოგიური სვეტები და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები

შურფი №1

სტრატოგრაფიული ძირი	შურფი №	სიღრმე, მ		შურფის სიგრძე/სიგანე, მ	შურფის აღმოს. აკს. სიღრმე, მ	გეოლოგიური პროფილი	საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები		
		რკვ	ბრე				აპროფილი	ბაზალიტი	
		მეტრები	მეტრები				მეტრები	მეტრები	
მ _{IV}	1	0.0	0.8	0.8	797.3				
ძპმ _{IV}	2	0.8	3.0	2.2	795.1				

შურფი №3

სტრატოგრაფიული ძირი	შურფი №	სიღრმე, მ		შურფის სიგრძე/სიგანე, მ	შურფის აღმოს. აკს. სიღრმე, მ	გეოლოგიური პროფილი	საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები		
		რკვ	ბრე				აპროფილი	ბაზალიტი	
		მეტრები	მეტრები				მეტრები	მეტრები	
მ _{IV}	1	0.0	1.0	1.0	797.3				
ძპმ _{IV}	2	1.0	3.0	2.0	795.3				

შურფი №2



სტრატოგრაფიული ძირი	შურფი №	სიღრმე, მ		შურფის სიგრძე/სიგანე, მ	შურფის აღმოს. აკს. სიღრმე, მ	გეოლოგიური პროფილი	საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები		
		რკვ	ბრე				აპროფილი	ბაზალიტი	
		მეტრები	მეტრები				მეტრები	მეტრები	
მ _{IV}	1	0.0	0.8	0.8	797.6				
ძპმ _{IV}	2	0.8	3.0	2.2	795.4				

შურფი №4

სტრატოგრაფიული ძირი	შურფი №	სიღრმე, მ		შურფის სიგრძე/სიგანე, მ	შურფის აღმოს. აკს. სიღრმე, მ	გეოლოგიური პროფილი	საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები		
		რკვ	ბრე				აპროფილი	ბაზალიტი	
		მეტრები	მეტრები				მეტრები	მეტრები	
მ _{IV}	1	0.0	1.0	1.0	797.5				
ძპმ _{IV}	2	1.0	3.0	2.0	795.5				

პრობოტი ალ508363ბ

- 1 ნიადაგის შრე
- 2 მიწნარი, კიბნარის შუაშრეებში და კიბნარის ნახარბიში 35% ბრე
- გონების არეის არეობა




პირობითი აღნიშვნები

- 1 ნიჟარების შენა
- 2 თიხნარი, კიხნარის შუაშრივით და კიხნარის ჩანართებით 35% მდი

შპს "ნიკაიუ"			სტარია
ბარაბაგი, სურხარი სარტოხარა			
ს.კ. მ.დ.08.83			
ნიჟარების მონტაჟის პროექტი			მ.პ.
საინჟინერო-პროექტინგო ბიურო			
თანამშრომელი	სარევიზორი	მუშაობა	შედეგობა
ნიშნული		საბოლოო	2
			შედეგობა
			2
			ნიშნული

7. დანართი 1.2. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ოპერატორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი

დაბრუნება ბმულიდან : http://billing.com.ge/print_pre_contract
 ოპერატორი : ბელა ოსეცხიშვილი
 IP : 162.158.151.131



მომსახურების განაცხადი (ირიბაში)
 შევსების თარიღი : 06/07/2021

ბანკსხადის ნომერი : IP202132720
 მოთხოვნის კერიოდი 2021 წლის

მიმკვეთი	ინვარი	1-15	16-31
მესაკუთრე	თებერვალი	1-15	16-31
მოიჯარე	მარტი	1-15	16-31
Ⓞ მოსარგებელი	Ⓞ წინასწარი გადახდა	1-15	16-31
	აპრილი	1-15	16-30
	მაისი	1-15	16-31
	ივნისი	1-15	16-30
	ივლისი	1-15	Ⓞ16-31
	აგვისტო	1-15	16-31
	სექტემბერი	1-15	16-30
	ოქტომბერი	1-15	16-31
	ნოემბერი	1-15	16-30
	დეკემბერი	1-15	16-31

მინის ნაკვეთი
 საკადასტრო კოდი: 81.12.08.833
 რეგიონი: ქვემო ქართლი
 სერვის ცენტრი: ზემო სამგორი_1005
 უბანი: უბანი_1_1005
 გამანაწილებელი არხი: ზემო სამგორის ს.ს._ზემო მაგისტრალი გ-06
 საერთო ფართობი: 75.43 ჰა
 სახელშეკრულებო ფართობი: 5 ჰა
 ტარიფი: 75 ლარი
 საერთო ღირებულება: 375 ლარი

კულტურა
 მარცვლოვან პარკოსანი კულტურები
 სიმინდი

მომსახურების განმისწორების პირობები

1. მომსახურების განაცხადი შესაძლებელია წარადგინოს, როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მინის ნაკვეთის მესაკუთრემ, ასევე, მესაკუთრისაგან შესაბამისი უფლებით აღჭურვილმა პირმა, ასევე რწმუნებულების ან საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მომსახურების საფასურის წინასწარ გადახდის შემთხვევაში, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად.
2. მომსახურების მიღებაზე უარის შესახებ განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომსახურების მიღებამდე. მომსახურების განაცხადის კორექტირების შესახებ განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ ფართობზე რომელზეც არ განხორციელებულა მომსახურება. განაცხადის კორექტირება დასაშვებია მხოლოდ სარწყავი ფართობის ცვლილების შემთხვევაში.

3. მომხმარებლის მიერ, მიწის ნაკვეთზე, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამელიორაციო მომსახურების (ირიგაცია) საფასური გადახდილი უნდა იქნეს:

ა) ყოველი წლის პირველი იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში - არაუგვიანეს შესაბამისი წლის პირველი ოქტომბრისა.

ბ) ყოველი წლის პირველი ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში - არაუგვიანეს შესაბამისი წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. მომხმარებლის მიერ, მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთებზე), რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და რომლის ჯამური ფართობი აღემატება 1,25 ჰა-ს, მომსახურების (ირიგაცია) საფასური გადახდილი უნდა იქნეს წინასწარ.

5. მომხმარებლის მიერ, მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთებზე), რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ჯამური ფართობი არ აღემატება 1,25 ჰა-ს, მომსახურების (ირიგაცია) საფასურის 20% გადახდილი უნდა იქნეს წინასწარ, ხოლო დარჩენილი 80% გადახდილი უნდა იქნეს:

ა) ყოველი წლის პირველი იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში - არაუგვიანეს შესაბამისი წლის პირველი ოქტომბრისა;

ბ) ყოველი წლის პირველი ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში - არაუგვიანეს შესაბამისი წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. ქარბი წყლის მოცილების (დრენაჟის) საფასური, როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ, ასევე არარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს შესაბამისი წლის პირველი ოქტომბრისა.

7. ტბორისათვის წყლის მიწოდების მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი წლის 10 დეკემბრამდე.

8. განსაზღვრულ ვადებში მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, მომხმარებელს დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაგადასცილებულ დღეზე.

9. მომსახურების (ირიგაცია, ტბორი) განაცხადის წარდგენის უფლება აქვს იმ მომხმარებელს, რომელსაც განაცხადის რეგისტრაციის მომენტში არ ერიცხება დავალიანება ან არსებულ დავალიანებაზე დადგენილი წესით გაფორმებული აქვს დავალიანების განწილვაადების შეთანხმება. იმ მომხმარებელს, რომელსაც განაცხადის რეგისტრაციის მომენტში ერიცხება დავალიანება ან არსებულ დავალიანებაზე დადგენილი წესით გაფორმებული არ აქვს დავალიანების განწილვაადების შეთანხმება, უფლება აქვს ისარგებლოს მხოლოდ ქარბი წყლის მოცილების (დრენაჟის)მომსახურებით.

10. განაცხადით განსაზღვრულ პერიოდში მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში, მომხმარებელმა განაცხადში მითითებული მომსახურების შესაბამისი პერიოდის ბოლო დღიდან 10 დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მიწოდებელს მომსახურების მიუღებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომსახურება ჩაითვლება მომხმარებლის მიერ მიღებულად.

11. წყლის მიწოდების (ირიგაცია, ტბორი) მომსახურება ხორციელდება 1 წლიანი მომსახურების განაცხადის რეგისტრაციის გზით, ხოლო ქარბი წყლის მოცილების (დრენაჟი) მომსახურება ხორციელდება 3 წლიანი მომსახურების განაცხადის რეგისტრაციის გზით.

12. მომსახურების განაცხადზე ხელმოწერით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაცნო და ეთანხმება შპს "საქართველოს მელიორაციის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე WWW.AG.GE გამოქვეყნებულ სტანდარტულ პირობებს და ტარიფებს.

საბანკო რეკვიზიტები:

თიბისი ბანკი GE42TB7484736020100003

საქართველოს ბანკი GE58BG0000000182323100

ვითიბი ბანკი GE20VT1100000000093408

ლიბერთი ბანკი GE54LB0113111469652000

პასუხისმგებელი პირი (ბალა ოსაფაიშვილი):

განმცხადებელი (ვახტანგ წულუკიძე):